საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

Ministry of Internally Displaced Persons from the Occupied Territories, Labour, Health and Social Affairs of Georgia

KA030160371429621

საქართველო, თბილისი 0119, აკ.წერეთლის გამზ.144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ცხელი ხაზი: (+995 32) 251 00 26; 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge
144 Ak.Tsereteli ave., 0119, Tbilisi, Georgia; Tel: (+995 32) 251 00 11; Hot line: (+995 32) 251 00 26; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/18869 **26 / ნოემბერი / 2021 წ.**

მოქალაქე ლალი ცერცვაძეს

foi+request-33-4b1aa7a1@askgov.ge

ქალბატონო ლალი,

მიმდინარე წლის 18 ნოემბრის თქვენი N112941 განცხადების პასუხად, სადაც მოთხოვნილია ინფორმაცია სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში არასრულწლოვანი ონკოლოგიური პაციენტებისთვის გათვალისწინებული სერვისებისა და საქართველოში არასრულწლოვან ონკოლოგიურ პაციენტთა რაოდენობის შესახებ, გაცნობებთ შემდეგს:

1. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის N36 დადგენილებით დამტკიცებული „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა“ ითვალისწინებს ყველა ასაკობრივი ჯგუფისთვის (მ.შ. 0-18 წლამდე) ნებისმიერი ონკოლოგიური დაავადების სამკურნალო გეგმური ქირურგიული ოპერაციების ხარჯების ანაზღაურებას, ასევე გეგმურ ქირურგიულ ჰოსპიტალიზაციასთან დაკავშირებულ წინასაოპერაციო, ოპერაციის მსვლელობისას განხორციელებულ და პოსტოპერაციული პერიოდის ყველა ტიპის ლაბორატორიულ, ინსტრუმენტულ გამოკვლევებს პაკეტების შესაბამისი ლიმიტისა და თანაგადახდის გათვალისწინებით. ასევე, პროგრამა მოიცავს ონკოლოგიური დაავადებების (გარდა 18 წლამდე ასაკის ონკოჰემატოლოგიური პროფილის პაციენტებისა, რომელთა მკურნალობა იფარება მე-2 პუნქტში მითითებული რპგორამიდან) მკურნალობას კერძოდ, ქიმიოთერაპიის, ჰორმონოთერაპიისა და სხივური თერაპიის, აგრეთვე ამ პროცედურებთან დაკავშირებული გამოკვლევებისა და მედიკამენტების ხარჯების ანაზღაურებას. ამასთან, 2020 წლის 1 სექტემბრიდან ონკოლოგიური დაავადებების მკურნალობის წლიური ლიმიტი გაიზარდა 8 000 ლარით და ასაკობრივი პაკეტის მოსარგებლეებისთვის (მ.შ. 0-6 წლამდე ბავშვები, შშმ ბავშვები) გახდა 23 000 ლარი, ხოლო სხვა ბენეფიციარებისთვის (მ.შ. 6-18 წლამდე პირებისთვის) 20 000 ლარი). გარდა ამისა, ქიმიოთერაპიულ და ჰორმოთორეპიულ საშუალებებს დაემატა საქართველოში რეგისტრირებული სიმსივნის საწინააღმდეგო მედიკამენტებით (მონოკლონური ანტისხეულები, პროტეინკინაზას ინჰიბიტორები, ბისფოსფონატები), რომელთა ნუსხა დამტკიცებულია მინისტრის ბრძანებით.

2020 წლის 1 სექტემბრიდან პაციენტის თანაგადახდის წილი იფარება რეფერალური მომსახურების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში.

2. საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 დეკემბრის N828 დაგდენილებით დამტკიცებული „ბავშვთა ონკოჰემატოლოგიური მომსახურების“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ხორციელდება 18 წლამდე ასაკის ონკოჰემატოლოგიური პროფილის პაციენტების მკურნალობა, რომელიც მოიცავს ამბულატორიულ და სტაციონარულ მომსახურებას და იფარება სრულად, თანაგადახდის და ლიმიტის გარეშე.

3. „ინკურაბელურ პაციენტთა პალიატიური მზრუნველობის“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში იფარება ინკურაბელური (მ.შ. ონკოინკურაბელური) პაციენტების ამბულატორიული და სტაციონარული პალიატიური მზრუნველობა და სიმპტომური მკურნალობა. ასევე, ნარკოტიკული ტკივილგამაყუჩებელი მედიკამენტებით უზრუნველყოფა.

აქვე, დანართის სახით, გიგზავნით ინფორმაციას საქართველოში არასრულწლოვან ონკოლოგიურ პაციენტთა რაოდენობის შესახებ.

პატივისცემით,

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი,

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ანა დარახველიძე

საზოგადოებასთან ურთიერთობისა და
საინფორმაციო/საკონსულტაციო მომსახურების
სამმართველოს უფროსი, მეორადი
სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი